საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოს სოფლის მეურნეობა 2019

წინასწარი მონაცემები მემცენარეობის შესახებ

16.04.2020

www.geostat.ge

16.04.2020

საქართველოს სოფლის მეურნეობა 2019 წელი

(წინასწარი მონაცემები მემცენარეობის შესახებ)

ერთწლიანი კულტურების წარმოება

წინასწარი მონაცემებით, 2019 წელს ხორბლის წარმოებამ 102.5 ათასი ტონა შეადგინა, რაც 4.3 პროცენტით ჩამორჩება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს. ქერის წარმოება 5.7 პროცენტით შემცირდა და 54.4 ათასი ტონა შეადგინა. სიმინდის წარმოება 205.9 ათასი ტონით განისაზღვრა, რაც 6.0 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს. კარტოფილის წარმოება 12.2 პროცენტით შემცირდა და 208.6 ათასი ტონა შეადგინა. ამასთან, 2019 წლის განმავლობაში წარმოებულია 162.1 ათასი ტონა ბოსტნეული, რაც 14.0 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე წარმოდგენილია ერთწლიანი კულტურების წარმოება 2014-2019 წლებში.

ხორბლის, ქერისა და სიმინდის წარმოება 2014-2019 წლებში
(ათასი ტონა)



*წინასწარი მონაცემები.

კარტოფილის და ბოსტნეულის წარმოება 2014-2019 წლებში
(ათასი ტონა)



2019 წლის წინასწარი მონაცემებით, წინა წელთან შედარებით შემცირებულია ხორბლის, ქერის და კარტოფილის საშუალო მოსავლიანობის მაჩვენებლები, გაიზარდა სიმინდისა და ბოსტნეულის საშუალო მოსავლიანობების მაჩვენებლები. გამოკვლევის შედეგების მიხედვით, ხორბლის საშუალო მოსავლიანობამ 2.3 ტონა/ჰა შეადგინა, ქერის საშუალო მოსავლიანობამ - 2.1 ტონა/ჰა, სიმინდის - 2.8 ტონა/ჰა, კარტოფილის - 11.6 ტონა/ჰა, ბოსტნეულის - 10.1 ტონა/ჰა, აქედან პომიდვრის მოსავლიანობაა 13.4 ტონა/ჰა, კომბოსტოს - 33.1 ტონა/ჰა, ხახვის 6.8 ტონა/ჰა, თუმცა შემცირებულია კიტრის და ნივრის საშუალო მოსავლიანობები და შეადგენს კიტრის - 10.4 ტონა/ჰა, ხოლო ნივრის 2.4 ტონა/ჰა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე წარმოდგენილია ერთწლიანი კულტურების საშუალო მოსავლიანობა 2014-2019 წლებში.

ხორბლის, ქერისა და სიმინდის საშუალო მოსავლიანობა 2014-2019 წლებში
(ტონა/ჰა)



*წინასწარი მონაცემები.

კარტოფილის და ბოსტნეულის საშუალო მოსავლიანობა 2014-2019 წლებში
(ტონა/ჰა)



*წინასწარი მონაცემები.

ერთწლიანი კულტურების ნათესი ფართობები

წინასწარი მონაცემებით, 2019 წელს ერთწლიანი კულტურების ნათესმა ფართობმა 206.6 ათასი ჰექტარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს 0.2 პროცენტით ჩამორჩება. მათ შორის საშემოდგომო მარცვლოვანი კულტურების ნათესი ფართობია 55.4 ათასი ჰექტარი, ხოლო საგაზაფხულო კულტურების ნათესმა ფართობმა 151.2 ათასი ჰექტარი შეადგინა.

ერთწლიანი კულტურების ნათეს ფართობში ყველაზე დიდი წილი სიმინდს უკავია, რომლის ნათესმა ფართობმა 74.9 ათასი ჰექტარი შეადგინა. ხორბლის ნათესი ფართობი 45.1 ათასი ჰექტარი იყო, ქერის - 27.2 ათასი ჰექტარი, კარტოფილის - 17.9 ათასი ჰექტარი, ერთწლიანი და მრავალწლიანი ბალახების - 15.0 ათასი ჰექტარი, ბოსტნეულის - 12.7 ათასი ჰექტარი, ხოლო დანარჩენი კულტურების ჯამური ნათესი ფართობი 13.9 ათას ჰექტარს შეადგენდა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია ერთწლიანი კულტურების ნათესი ფართობების სტრუქტურა კულტურების მიხედვით.

ერთწლიანი კულტურების ნათესი ფართობების სტრუქტურა

2019* წელი



*წინასწარი მონაცემები.

მრავალწლოვანი კულტურების წარმოება

წინასწარი მონაცემებით, 2019 წელს ქვეყანაში წარმოებულია 52.1 ათასი ტონა თესლოვანი ხილი, რაც 44.2 პროცენტით ჩამორჩება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს. საანგარიშო პერიოდში წარმოებულია ასევე 38.6 ათასი ტონა კურკოვანი ხილი (წინა წელთან შედარებით 28.7 პროცენტით ნაკლები), 31.7 ათასი ტონა კაკლოვანი ხილი (37.2 პროცენტით მეტი), 20.4 ათასი ტონა სუბტროპიკული ხილი (27.5 პროცენტით მეტი), 64.4 ათასი ტონა ციტრუსი (2.9 პროცენტით ნაკლები).

გარდა ზემოთქმულისა აღსანიშნავია, რომ 2019 წელს წარმოებულია 295.6 ათასი ტონა ყურძენი, რაც 13.8 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მრავალწლოვანი კულტურების წარმოება 2014-2019 წლებში.

მრავალწლოვანი კულტურების წარმოება 2014-2019 წლებში
(ათასი ტონა)



*წინასწარი მონაცემები.

თესლოვანი, კურკოვანი, კაკლოვანი და სუბტროპიკული ხილის წარმოება 2014-2019 წლებში

(ათასი ტონა)



*წინასწარი მონაცემები.

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

2019 წლის საბოლოო მონაცემები ხელმისაწვდომი იქნება 2020 წლის 15 ივნისს.

საკონტაქტო პირები:

გიორგი სანაძე, ტელ: (+995 32) 236 72 10 (500), E-mail: gsanadze@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge